საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2016 წლის 16 ნოემბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/14

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის I პუნქტის საფუძველზე უნივერსიტეტის შინაგანწესის მე-10 მუხლს დაემატოს 10ᵃ ქვეპუნქტი:

10ᵃ. განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების (მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში მონაწილეობა, შემოქმედებითი ატივობები, უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და ა.შ.) მქონე პირი, რომელიც ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ზედიზედ მეორე ვადით, საშემსრულებლო მიმართულებით კი - ზედიზედ მესამე ვადით, იქნა არჩეული პროფესორის თანამდებობაზე, აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილებით, ითვლება პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ არჩეულად. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით ატესტაციას.

აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებამდე აკადემიური საბჭო პროფესორის უვადოდ გადაყვანის გადაწყვეტილებას ღებულობს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის შუამდგომლობის საფუძველზე.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია